ეროვნული ბიბლიოთეკა


# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1184

დამატების № 209

კვირა, 11 მაისი 1914 წ.


## ჰაინეს ლექსები

გერმანულიდან

*
* *

ტყე, წალკოტი იკაზმება,
ვით ქალწული მხიარული;
მზეს სხივებში ეცინება:
გაზაფხული! გაზაფხული!

–ბულბულის ხმაც ჰხიბლავს სმენას,
მოსთქვამს იგი გულმოკლული;
ჩაჰქსოვია მის სიმღერას
სიყვარული! სიყვარული!

*
* *

ერთს ყვავილს ვეტრფი, არ ვიცი რომელს,
აი, რა აჩენს მკერდის ქვეშ წყლულსა!
ვათვალიერებ ვარდის ბუჩქს ყოველს
და ვეძებ, ვეძებ საყვარელს გულსა!

სალამოობით ყვავილი ფშვინავს,
ბულბული უძღვნის ჰიმნს გაზაფხულსა;
ჩემსავით ცოცხალს, ჩემსავით ლამაზს
ვეძებ და ვეძებ საყვარელს გულსა!

მივმხვდარვარ, ოდეს ჰგალობს ბულბული,
თუ იგი რა ღრმას ატარებს წყლულსა;
ჩემსავით სჩივის შეწუხებული,
ორივე ვეძებთ საყვარელს გულსა!

*
* *

ოდეს მიმზერს ლურჯი თვალი
აგზნებული და მდუმარი,—
ოცნებაში აზრსა ვკარგავ,
აღარ ძალმიძს საუბარი!

და ვოცნებობ მაგ თვალებზე
ხან მალხენს და ხან მამწარებს;
ფიქრთა ტალღას ამ ჩემს გულში
დაუდგრომლად ამდინარებს!

*
* *

დადგა მაისი, ჰყვავის სოსანი,
გადაფურჩვნილა ირგვლივ ბუნება;
მაღლა ლურჯ ცაზე ხაზ-ვარდოსანი
ღრუბელი სადღაც მიეშურება.

უსტვენს ბულბული აღტაცებული,
ხმა მწვერვალიდან ველს ეფინება;
თეთრ ბატკანთ გროვა გალაღებული
მწვანეზე დახტის და ელხინება.

ვწევარ ბალახზე მარტოდ სნეული,
არც მემღერება, არც მეხტუნება;
მომესმის ჰანგი მთლად შორეული,
არ ვიცი, თუ რას ელტვის გუნება!

*
* *

როგორც მთვარის ლანდი თრთოლავს,
ტალღებში სჩანს მოციმციმედ;
თვით მთვარე კი ცაზე სრბოლავს
შეუმკრთალი მძიმე-მძიმედ,—

ეგრეევ, ჩემო საყვარელო,
თვით სიმშვიდეს ჰგრძნობ მაგ სულში,
ხოლო შენი ლანდი თრთოლავს
ტრფობით აღძრულს ამ ჩემს გულში!




სალომეა.—ნახატი შმუცლერისა.

*
* *

როს გვერდს ჩამივლი ნელის ცქრიალით
და შენი კაბა მიპყრობს შრიალით,—
მაშინ ნორჩ გულსა უკიდებ ალსა,
თან ვსდევ ღელვილი შენს ლამაზს კვალსა!

მაგრამ როს უკან კვლავ იხედება
და მხვდება მაგ მსხვილ თვალთა სხივები,—
მაშინ ეს გული შიშისაგან კრთება
და შენი კვალი მთლად მეკარგება!

*
* *

სცხოვრობდა მეფე მოხუცებული,
თმა-თეთრი, ჯანით დასუსტებული;
და უბედურმა ცოლად შეირთო
ქალი სიტურფით დიდად ქებული.

კარზე ჰყვა მეფეს ყრმა გულ-სვიანი,
ტანად ლამაზი, ხუჭუჭთმიანი.
ის მსახურებდა ტურფა დედოფალს,
ჩუმად მიჰქონდა ვარდნი, იანი!

განა არ იცით სიმღერა ძველი,
თან სამწუხარო, თან სანუკველი?
რა ერთმანეთი მათ შეუყვარდათ,
მეფისგან ჰპოვეს სამარე ბნელი!

*
* *

ოდეს დილით მეღვიძება,
ვკითხავ ჩემს თავს: დღეს თუ მოვა?
მოლოდინი მიცრუვდება
და გულს მხდება მწარე გლოვა.

ღამეს თეთრად მე ვათენებ,
მოუსვენრად, მთლად ფხიზელი;
მეორე დღეს დავბარბაცებ
კვლავ მიჯნურის უნახველი!

სანდრო შანშიაშვილი.

# კვდება ყვავილი...

(სურათი)

შემოდგომაა...

ხეები ჩაყვითლებულა... ჯერ კიდევ გუშინ ამაყად მდგარი მცენარეები ეხლა ობლად და საცოდავად გამოიყურებიან...

ჰხედავენ თავიანთ უკანასკნელ დღეებს...

რა ძნელია, როცა წინ გიდგას სიკვდილის აჩრდილი!..

თავები საცოდავად დაუხრიათ... არსაიდან შველა, არსაიდან სიბრალული... ბუნების ულმობელი კანონი მთელ ძალა-უფლებას იჩენს მათზე... ქარი მძვინვარობს, მკაცრობს, რისხდება. ხან სახელებს შემოუზვერავს,—გაისმის მწარე გმინვა; ხან ტყეებს დაუვლის,—ისმის ტირილ-გოდება, გლოვის ზარი... კვნესა,—კვნესა საზარელი.

შორს ტიალ მინდორში საშინელი, გულის მკვლელი ზუზუნია... ეს ქარის აფთრობაა...

უდაბნოც კი სტირის შავ დღეებს!..

ქარი არ ცხრება: ფოთლებს აგროვებს, თავს უყრის, კუთხიდან კუთხეში გადააქვს, ღობის გვერდზე მიაყრის, აფორიაქებს, აწვალებს, დასცინის მათ უმწეობას, ბრაზს იყრის, შურს იძიებს, როცა იგონებს, რომ გუშინ თვითონ სდუმდა, ხმა ვერ ამოეღო, გაზაფხულის სიმღერის წინ თავი ჩაექინდრა. ესენი კი ცას შეჰყურებდნენ, მწვანედ იფურჩქნებოდნენ და მზის სხივებს ეთამაშებოდნენ... და მზეც გულკეთილ დედასავით უღიმოდა სიცოცხლით სავსე შვილებს... ბუნებას.

მზე საცოდავად გამოიყურება ღრუბლებ შუა. ობოლი სხივი, როგორც ტყვე საკანს, ისე უსხლტება ღრუბელთა შავ გროვას, შეშინებული გულში ჩაეკვრის მის საყვარელ დედამიწას, უნდა გაათბოს, სული მოუბრუნოს, დაანუგეშოს, მაგრამ სასტიკი მტერი კვლავ მოუსპობს სინათლეს და მრისხანედ შეუკრავს ცას პირს... განრისხებული ცა წარღვნას უქადის დედამიწას.



ეგ. ნინოშვილი.

(გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულების გამო. ეს სურათი გერმანიაშია დაბეჭდილი).

ამას წინად ტკბილი ღიკლიკით და ღლურტულით რომ მიურბენდა კორდებს ანკარა რუ, დღეს ატირებულა, აცრემლებულა, შუბლი შეუკრავს და წყევლა-კრულვით გადადის ქვიდან ქვაზე...

იქ... სადაც გუშინ მწვანე წალკოტი ჰყვაოდა, ბუნება იფურჩქნებოდა, ხარობდა, ცელქობდა, მზის სხივებზე ცქრიალებდა და შვება-ლხენით, ტკბილი სუნით, მომხიბვლელი გუმოვნებით იტაცებდა გულს... იქ... იმ ყვავილოვან ალაგას, სადაც ყველაფერი სცოცხლობდა, ნეტარებდა... სადაც არა ერთსა და ორ შეყვარებულს გადაუშლიათ ერთმანეთისთვის გული, გულისთქმა, ტრფობის ალი, სულის შფოთვა, გულის ტანჯვა... იქ... სადაც არა ერთი და ორი დამტკბარა სიყვარულის ზეციარი მადლით, ტკბილი გძნობით, გულის ტრფობით, სიხარულით, სინანულით... იქ... სადაც არა ერთსა და ორს უგრძვნიათ ბუნების ძალა, ჰარმონია საუცხოვო, მისდამი სიყვარული, აჰფეთქებიათ სიცოცხლის ძარღვი, ასჩქროლებიათ გული, აჩუყებულა ტრფობის ალზე და ტკბილი გრძნობები ცრემლებად წასკდომიათ,—დღეს გაძარცვული, სასაცილოდ აგდებული ბუნებაა. მზის სხივი ვერ ეკარება, საარშიყოდ არავინ მოდის და მაშინდელ ტკბილ გრძნობათა ცრემლებს სევდის ცრემლი სცვლის...

სევდაა...

ტრფობის წალკოტს სევდის ბალისთვის დაუთმია ალაგი!..

ნაზ ყვავილს ოქროს სამოსელი შემოჰფლეთია, გაშიშვლებულა, განმარტოვებულა, ხელით იფარებს შიშველ ტანს, სცხვენია გამვლელის ამაყს, სიდუხჭირის უნახავს...

იწვის სირცხვილით და მწარედ ტირის.

ქარი ტანთსაცმელს აგლეჯს, მძლავრად ეხეთქება და დაოსებულ გულს უფრო უსევდიანებს.

გუშინდელი ამაყი, თავმომწონე, ნაზი, კოხტა, მზის სხივებს რომ ეარშიყებოდა, ლამაზი, ცელქი ყვავილი სასიკვდილოდ გამზადებულა.

აგონებდა ის დღე, როცა ახლად გაფურჩქნილის გვერდით ახალგაზდა ქალ-ვაჟი იდგა და ტკბილი სუნით დამტკბარნი, გრძნობა აშლილნი, ალტაცებულნი ერთმანეთს გულში ეკვროდნენ..!

სიცოცხლით სავსე ტუჩი ვარდისფერ... მაისის ვარდისფერ ტუჩს ეწებებოდა!..

აგონებდა ეს დღე და სევდა სევდას ენაოჭება.

როგორ უხაროდა ყვავილს, როგორ იხიბლებოდა, თვრებოდა, სიხარულით თვალები ეცრემლებოდა, როცა მისი ტოტი ტურფა არსებას, ეთერს ეძლვნა საჩუქრად და ქანდაკებასავით მოყვანილ ფართე თვალწარმტაც მომჯადოებელ, სიცოცხლით სავსე, გრძნობით მჩქეფარე მკერდზე მიეცა ალაგი!..

დღეს ვერც ეთერს ჰხედავს, ვერც ფერიას და ვერც ვენერას!!!

კვდება უნუგეშოდ, უმეგობროდ, ობლად ბუნების მძლავრ სტიქიაში!..

სასტიკი ქარი სიკვდილის ჰიმნს უგალობს ყვავილთან ერთად მთელ ბუნებას!..

ზზზ!.. ზუზუნებს ქარი და ამ ზუზუნში აშკარად ისმის საბედისწერო სიტყვები, უკანასკნელი განაჩენი უხილავ ძალის!

— არ გაგახარებთ, გაგაცამტვერებ... მე მშვენიერება არ მწამს, ჩემი დევიზი რისხვაა და ყველაფერს მოვსპობ... გავაჯოჯოხეთებ!..

პლებეი.

# ცოდვის ღამე

(ეტიუდი)

მე რომ სჯულმდებელი ვყოფილიყავ უსასტიკეს სასჯელს მოვიგონებდი იმ ქმრებისთვის, რომელთაც ადრე ეძინებათ და ალარესმით ცოლის ოხვრა, მუცელ-ტკივან გველივით რომ იკლაკნება ლოგინში, გვერდიდან გვერდზე გადაბრუნდება, ქვრივი დედოფალივით თმებს იწეწს საშინელ ტკივილისგან. ყველაზე უფრო საშინელი ღალატი ამისთანა უძილო ღამეში დაწყებულა, ყველაზე უფრო საშინელ დანაშაულისთვის ამისთანა თეთრ ღამეებს უწოვებიათ ძუძუ.

ვისაც არ სჯერა გადაფურცლოს დაბადება და იქ წაიკითხავს ჯერ კიდევ სველ სტრიქონებს პონტოფრეს ცოლზე...

## I

საქართველოში ყველაფერს უჩვეულო კალაპოტი აქვს... არ გეგონოთ, რომ ქართველი კაცის ზომა გადამეტებული ფანტაზიის საქმეა, რომ სულ უბრალო სურვილიც კი მიუწდომელ ოცნებად რჩება ჩვენში. თქმა არ უნდა, ოცნებას კონტრასტი იწვევს და თუ ვისმეს თავი მეფე ჰგონია, ეს ყველაზე უწინ მათხოვარს, თავშესაფარის ცივ ლოგინზე გადაჩეხილს... მაგრამ ჩვენში მაინც ყველაფერს უჩვეულო კალაპოტი აქვს... სანდრო მწუხრიძე დიდხანს ყოყმანში იყო, როცა გიმნაზია გაათავა... ვერ ამოერჩია სად წასულიყო, რომელი ალაგი ამოერჩია, რომ უფრო თავისუფლად ეგრძნო თავი, მისი ნება არავის შეეზღუდა, რადგან იცოდა რომ ქართველ კაცის ამ შეუკავებელმა თავისუფლებისადმი ლტოლვამ ათქმევინა მგოსანს, რომ უთავისუფლოდ სამოთხეც არა რა იყო... და ბოლოს აირჩია იურიდიული ფაკულტეტი... ვიქნები ჩემდა, არავინ ბატონი არ მეყოლება, ვერავინ დამიყენებს ყოველდღე დილემას: ან უადგილობა ან ლიბერალობაო... იმნაირივე აზრებით ბრუნდებოდა სანდრო რუსეთიდან კურსდამთავრებული, როგორიც მიჰქონდა იქეთ, როდესაც პირველად მიდიოდა... მაგრამ ბედი ხომ ყოველთვის სწორედ იქ გვიმზადებს შხამ-საწამლავს, სადაც გვგონია გზა-ადვილად გასავლელია.

რისი გაკეთება არ შეიძლება ჩვენში... ჯერ ხომ არც ერთი დარგი მეცნიერებისა არ არის შემუშავებული, ყველგან შეიძლება კაცმა გააკეთოს რამე, დაამჩნიოს თვისი მარჯვენა... მართალია, თავის მოწოდებაზე სანდრო არ ყოფილა დიდი წარმოდგენის, ხშირ-ხშირად უყვარდა ხოლმე გამეორება, რომ არ შეიძლება ჭრაქის დაქრობა, თუ მოკლებული ხარ იმედსო.



**დეპუტატ ჩხენკელის განდევნა სათათბიროს დარბაზიდან.**
შუაში ჩხენკელი სდგას. მას გარს ჯარის კაცები ახვევია.

ბევრი ახსოვს სანდროს ძილ-მღვიძრობის დროს, რომ ჩათვლემილა ფიქრებზე... ეხლა მისი სურვილები სინამდვილეს უახლოვდება... საბუდეში არ ჩერდება გული, ჩიტივით ფართხალობს ბედნიერების მოლოდინში და ამ ზარმაც ჟრუანტელში იყინება სანდრო.

ასეთი ალტაცების ჟამი არის წყარო ყოველი უბედურების, რა საქმეს გინდა არ დაადგე, როცა ასე სადღესასწაულოდ ლხინობს სისხლი ტანში... და აი სანდროს ცხოვრების გზა-ჯვარედინზე გამოხტა ფოცხვერი, მკვირცხლი, ცქრიალა ნატო, შავი ლურჯად მბზინავი თვალებით, და მეწამული ტუჩებით, რომელნიც ურცხოვობას იჩემებენ და თითქო ამბობენ მამაკაცი ვერ ამოსწოვს ჩემ სიცხოველესო.

ლაფანის ჟღვერთივით მოიღუნა სანდრო. პირველი შეხვედრისთანავე უკბინა გულზე მწველმა გრძნობამ, ინდაურივით აიმრიზა, ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ თუ ქალი ამისთანა დღეს დააყენებდა, ეს კი არ ეგონა... მიდიან დღეები, მწველი დღეები იმედის და უიმედების, სულის პირველად გაღვიძების, ამ დღეებს შემდეგ ისე იგონებთ, როგორც მუსიკის შემდეგ სიჩუმეს, როცა ჰაერში კიდევ ირხევა ტკბილი ხმა, გულში შედის და დედის კოცნასავით დნება.

ყოველთვის მშვიდი ძილი გაუკრთა სანდროს, ჯადოქარმა ამოიღო მისი გული და გრძნობის მუგუზალზე შეუბრალებლად სწვავს და სანდროს მაინც უხარიან, არაფერში არ გაცვლის ის მტანჯავ ნაღველს გამოურკვევლობისას... და დასრულდა მალე გრძნობის დუღილი, ჭრელ-კაბიანი ოცნება სინამდვილის აკვანში დაწვა.

ნატო სანდროს ცოლია, გვრიტებივით ღუღუნობენ, როგორც პირველ დღეს შეხვედრისას, ერთმანეთს ეფიცებიან, რომ სიყვარული, როგორც სიკვდილი ერთია ქვეყანაზე. რა ბანალურია ეს სიტყვები! მაგრამ პირველად მაინც აქვთ სიმშვენიერე, პირველად მაინც აქვთ აზრი. რუხ ფრთიანი დრო კი იცინის, იცინის ერთნაირი სიცილით, რომელიც დღიდან პირველი გაჩენისა არ შეცვლილა.

## II

უკანასკნელი ფულით, მემკვიდრეობით რომ დარჩა მოეწყო სანდრო, ამას კიდევ მიუმატა ცოლის მზითვები... პირველ ხანებში სანდრო კიდევ სიყვარულის ცხელებაშია... ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა... მაგრამ გრძნობს, რომ ძალიან ცუდად მიდის საქმე... ახალ ახალი კაბები ცის ფერი აბრეშუმის ნ.....ვი, რაც უნდა კარგი და მოხდენილი იყოს ვერ ეგუება სიყვარულს... სანდრო ჯერ კიდევ არ აძლევს თავს ანგარიშს. კლიენტები ძალიან ცოტა დაიარებიან. სანდროს მხოლოდ მაშინ აეხილა თვალები, როცა გადასცეს სარდიონის, ნატოზე უიმედო შეყვარებული სარდიონის გესლიანი მასხრობა, კეთროვანებს ისე არ უფრთხოდენ უწინ, როგორც ეხლა უფრთხიან სანდროს კლიენტებიო.

უსიამოვნება უსიამოვნებაზე ემატება, ემატება... გუშინ წინ გაზეთი დააჯარიმეს. სანდროს ყურამდი მიაღწია ერთი დიდი მოხელის სიტყვებმა:

— რადგან მას ასე ძალიან აინტერესებს გადასახლებულთა ბედი, მალე კიდეც გავამგზავრებთ იქით... და მაშინ უფრო გამოიჩენს გულმტკივნეულობას...

მოტყდა სანდრო... მის აგზნებულ ფიქრებს თანდათან ეპარება სიცივე, თითქო სიყვარულის ყვავილზე დამჯდარა ყორანი და საბედისწეროთ აბარტყუნებს ფრთებს სულში შედის, სიცივე და გატიტვლებული სული იცრემლება უიალაჯობით.

ვინ იცნობს ეხლა სანდროს, უწინდელ სანდროს?.. სად წავიდა სიჭაბუკის ალტაცება, ვინ ჩააქრო ჯერ კიდევ აუნთებელი კოცონი?.. ნათელი, ჭრელი ფიქრები გაფრინდნენ, გაფრინდა ხალხის სამსახურზე ოცნება... მისი სული სტირის ეხლა საწოლ ლოგინის აკომპანიმენტზე... და სანდროს ჩამოესმის მისივე ხმა... შორს სადღაც ძალიან ადრე ნათქვამი; ვაი, მათ, ვინც მეშჩანურ პერანგში გასცვალეს თავის ქვეყნის სამსახურიო... და ცივი ჟრუანტელი უვლის ტანში.

— სისულელეა, ბავშობაა... ეს ყველა ასე ფიქრობს, სანამ ცხოვრებას არ იცნობს, ახალგაზდური სისხლი შვრება ყველაფერს.

— სტყუი, ურცხვად სტყუი, გულის სიღრმიდან უპასუხებს ჯერ კიდევ ცოცხალ-მკვდარი სინდისი, ეს მართლა რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ხომ ცხოვრება უდაბნოს დაემგვანებოდა! არა, არიან ისეთებიც, რომელნიც არასდროს არ იღუნებიან, რომელთა გულშიც მარად იწვის ცეცხლი უქრობლად.

— მერე ისინი ხომ გმირები არიან, და ყველას როგორ მოვთხოვთ გმირობას?. ეს უსამართლობაა, ამას ვინ შვრება? იმართლებს თავს სანდრო...

სტყუი, ურცხვად სტყუი! გულის სიღრმიდან უპასუხებს ჯერ კიდევ ცოცხალ-მკვდარი სინიდისი, გახსოვს შენი სიტყვები ჭრაქის შესახებ, შენ ჩირაღდნობას არავინ გთხოვდა, არც არავის სჯეროდა, მაგრამ შენ ჭრაქობაც დაივიწყე...

.... აქ წყდება დიალოგი სანდროს და ცოცხალ-მკვდარი მისი სინიდისის. სანდრო გადაბრუნდება ლოგინზე, თითქო აუარებელი ჭინჭველები შეუძვრენ ტანში და აღარ ასვენებენო, თანაც გულსაკლავად გაიზმორება.

— რა იყო კაცო, რომ არ ისვენებ ლოგინში, ზეთი აკურთხებინე მღვდელს, უჟმური გაწუხებს მგონია, გესლიანად ეტყვის ნატო.

— არამზადა, იუდა!.. გაიჭრიჭინებს ლოგინი, რომელსაც უშლის სანდრო ძილს და გუჩუმდება...

## III

გარდაიცვალა სანდროს სინიდისი... ცრემლებით არ უტირია სანდროს, მხოლოდ უღონო ოხვრით დაასამარა... და მიცვალებულში მეტი აიღო, ვინემ იუდამ ქრისტეში... ოც თუმნად მიჰყიდა თვეში ერთ მთავრობის დაწესებულებას და დაიწყნენ რუხი, შავ-ბნელი დღეები მისი ცხოვრებისა, რომელთა ასე ეშინოდა უწინ... მძევლად დაადებინეს, როგორც უწინდელმა მეფეებმა იცოდნენ ხოლმე თავის შვილები, ჯერ გაუზდელი, ჯერ გაუფურჩქვნელი შვილები, რომელთაც სიამით და ნეტარებით ზრდიდა რუსეთში, მძევლად დაადებინეს საუკეთესო ფიქრები, და დარჩენ ისინი გამოუყიდავი მთავრობის დეპარტამენტეს თახჩაში.

გვიან ბრუნდება სანდრო სახლში დაღლილი, დაქანცული, მას შრომა ისე არ ჰღლის, როგორც რაღაც გამოურკვეველი სევდა, გველივით რომ შემძვრალა მის სულში და ზოზინით ღრღნის შეუბრალებლად. სანდროს არ გაჰყოლია დიდხანს მომავლის გლოვა, ის თითქო შეეჩვია, შეეგუა თავის ცხოვრებას, მხოლოდ სიხალისე კი დაკარგა სამუდამოდ, შემდეგ გაცინებული არავის უნახავს, თითქო გულში ინახავს საშინელ დანაშაულობასო და ასე სამსხვერპლო სანთელივით დნება სანდრო დეპარტამენტის ტაძარში... ახალგაზდა ცოლი ამჩნევს, რომ სანდრომ ალერს მოუკლო, ის ძველი სანდრო აღარ არის, უწინ რომ იცნობდა, თითქო ქორწინებამ დაადვა რა სიყვარულს ბეჭედი გაუმეორებლობისა თავისი პირველყოფილი სილამაზე დაკარგა. ყველაზე ნაკლებ ნატო იცნობს სანდროს დაფერფლილ სულს, იმას ვერ აუხსნია უცნაური გამოცვლა და ასე ადრე ალერსით გაძღომა...



**დეპუტატ კერენსკის განდევნა სათათბიროს დარბაზიდან.**
კათედრაზე სდგას და ლაპარაკობს ა. კერენსკი, მის წინ კი დამცველ განყოფილების უფროსი როსტენ-საკენი.

და ნატოს გულში შედედდა რაღაც გამოურკვეველი სიძულვილი ქმრისადმი, ნატოს ჰკლავს სანდროს გულცივობა და გულში იჭვის ლურჯი გველი უცოცდება... ყოველდღე ახალ-ახალი უსიამოვნებით უმასპინძლდება ქმარს. ქალი ხომ გრძნობის ჭურჭელია, ყველაფერს მოითმენს, გარდა მის გრძნობის აბუჩად აგდებისა და საყვარლის გრძნობის შესანარჩუნებლად ბრძოლაში ხამსინზე უფრო მრისხანე და შეუბრალებელია.

— კაცო, რად ჩამოგტირის ეს თავპირი, თითქო დაქვრივდიო, უსაყვედურებს ნატო, როცა დაქანცული სანდრო სავარძელზე მიწოლილი დაყუდებულ ბერს დაჰგვანებია.

— დავილალე ოჯახ-ქორო, დავილალე, არ უნდა გქონდეს კაცის შებრალება, მთელი დღე კანიდან ვძვრები, ვმუშაობ მხოლოდ შენთვის, შენ კი სამაგიეროს დაუმსახურებლად საყვედურით მიხდი... შებრალება მაინც გქონდეს კაცის, თუ პატივისცემა არ გექნება.

— ვიცი ძალიან კარგადაც ვიცი, რითაც ხარ დაღლილი...

— ღმერთი, რჯული, ხატი... ქალო რას ჩამციებიხარ, შენ კაბებში და შენ ალერსში მივყიდე სული ეშმაკს და ეგ მფეროხბს შენგან.

— კარგი ერთი ნუ გიყვარს სისულელე, რა დაგიჟინია ვითომ მე შემეწირე მსხვერპლად... ეს როლი სულ არ გიხდება, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა უსინიდისო ქმარი მაგ გახანებულ წამოსასხამს იცვამს...

— უსინდისოს რაღას მერჩი... დაიკლანკნა სანდრო, როცა მოაგონეს მიცვალებული, სინდისზე ქალი ყველაზე ნაკლებ უნდა ლაპარაკობდეს...

შემდეგ შეშინდა და მოლბა სანდრო... ნურას მაყვედრი ნატო, შენ გენაცვალე, მიყვარხარ ისე როგორც უწინ. ღმერთია მოწამე და გამკითხავი... მე დავილალე, მე დავუძლურდი, შენ თუ არ გესმის სხვა ვინ გაიგებს... ვიყინები, მცივა სულში, შენი ალერსი ვერ გაათბობს იმ სიცივეს, შენ არ იცი რამ მომბერა იგი... და მის გულზე შედუღებული ნაღველი დასველდა, ხმა აუკანკალდა, თითქო ეს, ეს არი ტირილს დაიწყებსო.

ნატომაც დაუთმო.

და ცოლქმარი შევიდნენ საწოლ ოთახში წაკიდებულთა შემრიგებელ საკურთხეველში...

IV

სძინავს სანდროს... საშინელი სიზმრები ეხვევიან საბანში, დიდი ხანია რაც დაკარგა მან ჭრელ-კაბიანი სიზმრების ნახვის დრო, ეხლა შავი მაჯლაჯუნა დასწოლია თავზე, როგორც ვეშაპი.

.... და ხედავს სანდრო სიზმარში მეფე—სოლომონს, გაჩირაღდნებულა ვეებერელა დარბაზი, თითქო ტყე იწვისო. კედელი კედელს ეფუჩუნება სოლომონის ზვიადობაზე და ანთებული ჩირაღდნები, როგორც ვეშაპის თვალები შიშის მომგვრელ ალებს ისვრიან. აი მოაქვთ ტახტრევანით ბრძენი მეფე, ვისი ვნება უდაბნოს ქარზე მაღლა დაფრინავს, გაყვითლებული ვენუხი მიუძღვება წინ, ვერ გაუბედნია მეფის თვალებში შეხედვა და იატაკზე დაუღუნია თვალები.

დატოვა მეფემ სოველი დედოფლის საწოლი ოთახი და რიგრიგზე, როგორც თვალის დახამხამებაზე იცვლებიან სურათები.

საშინელია მეფე სოლომონ, როცა ბრძანებას სცემს, მაგრამ, როცა მასში მგოსანი გაიღვიძებს კედელიც თაფლად დადნება.

სანახაობა ჰქრება... სანდრო მაინც ფიქრობს ძილში, რა უნდა ყოფილიყო, ის მეფე, რომელსაც ჰყავდა—ათასი ცოლი. სანდროს ეშინიან ამის სიმართლის დამტკიცების და თან გრძნობს, რომ ეს ცოტა მართალი უნდა ყოფილიყო... გრძნობს, რომ იყო კაცი ლეგენდა, რომელსაც ჰყავდა ათასი ცოლი, ყველა მათგანს უყვარდა სოლომონი, ყველა მათგანს რგებია ბედნიერება ესუნთქა სოლომონის ამონასუნთქ ჰაერით... და მაინც ვილაცას გაცხარებული უმტკიცებს სანდრო, რომ ეს ზღაპარია, საშინელი ტყუილი, რომელზე უარესი ჯერ კაცს არ გამოუგონია... ჰაერი არ ჰყოფნის სანდროს სასუნთქად, როგორც საფლავში გაღვიძებულ მიცვალებულს და გიჟივით ვილაცას ედავება, უყვირის.

ნატო მისჩერებია სანდროს მძინარე სახეს, თითქო იქ უნდა ამოიკითხოს სიზმრის შესახებ... თვალი არ ეხუჭება ნატოს, უძილობას დიდი ხანია შეეჩვია. მას სძულს ეს ჯირკი გვერდში რომ ამოწოლია, სძულს და მაინც იმაზე ფიქრობს... მას მაინც სჯერა, რომ სანდრო, ძველი სანდრო ასე არ გამოიცვლებოდა, თუ მას სხვა ქალი არ უყვარდეს, თუ სხვა არ იზიარებდეს მის ალერს და ნატოში შეურაცყოფილი დედაკაცის გრძნობა იღვიძებს... საკვირველია ჯერ ერთ მხატვარს არ დაუხატავს ამნაირი სურათი, როცა ქმარს ბნედადაკრულივით სძინავს და ვნებით გახელებული ცოლი, მუგუზალს უკიდებს ლოგინს.

შეურაცყოფის ცრემლები აღრჩობს ნატოს, მის თეთრ სახეზე ისე იჭიმებიან ძარღვები თითქო ახალგაზდა ხეს ასპიტები შემოხვევიანო, მკერდი, როგორც სააღდგომოდ მომზადებული ცომი თანდათან იზრდება, თვალებიდან მომსკდარი ცეცხლი ტევრ თმას უპირობენ დაწვას.

სანდრო თანდათან ცხარდება დავაში.

— ვერ დავიჯერებ... მაინც ვიტყვი, რომ ტყუილია, ბუტბუტებს სიზმარში, მერე შესძახებს, თითქო ხმით უნდა დააშინოსო...

— არამზადა, საძაგელი!.. სიძულვილით წამოიძახა ნატომ და მისმა ხელმა პირველად შეითამაშა სანდროს სახეზე... სანდრო შეიშმუშნა... გაწყვიტა ბოდვა... თვალები მოიფშვნიტა.

— ნატო შენ არ გძინავს... საშინელ სიზმრებს ვხედავ, მაჯლაჯუნა მახჩობს...

— შენ თითონ მაჯლაჯუნა ხარ, მაჯლაჯუნამ რა უნდა გიქნას... ისეთი ხმით უთხრა ნატომ, რომ ხმაში გამოიხატებოდა საშინელი სიძულვილი, რომელსაც სამუდამოდ შეუპყრია ქალის სული და რომელიც შემდეგ ძალიან გვიან და შეიძლება არას დროს არ დალგება. პირველი ცოლის სილა არ გაუგია სანდროს, შემდეგ გაიგებს ალბად მის სიმწვავეს, როცა გახშირდება...

ტ. ტაბიძე.



**გარეშე** და **შინაური პოლიტიკა** გორის მაზრის თავ.-აზნ. წინამძღოლის **ნ. თუმანიშვილისა.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.